ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 352

7 დეკემბერი
"---" -------- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.031.048) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის" (ს/კ: 205178635) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.031.048) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპე"-სთვის (ს/კ 205178635) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 15 ნოემბრის №18.926.1327 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №2-20-ის მიმდებარედ არსებული 1492 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.031.048) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კანაპესთვის" (ს/კ: 205178635) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4400 (ოთხი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე